

F-131  
1920



F-131



1920

საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს ორგანო.

თბილისი  
ბიზნოს-ბიურო

# „მეზი და ღვინო“

წელიწადი პირველი.

№ 8

1—15 თებერვალი 1920 წ.

№ 8

ჩვ  
F 394

- |                                                    |                    |
|----------------------------------------------------|--------------------|
| 1. მოწინავე . . . . .                              | ი. ანდრონიკაშვილი. |
| 2. ვაზის ცის გახსნა . . . . .                      | ს. ჩოლაყაშვილი.    |
| 3. ღვინის წარმოშობა . . . . .                      | მის. შალამბერიძე.  |
| 4. კახეთის მევენახეობის და მეღვინეობის მდგომარეობა | გ. წინამძღვრიშვილი |
| 5. ცნობები.                                        |                    |
| 6. წერილები აღგილებიდან.                           |                    |

მე 2, 3 რედაქცია დაიწყო

### ჟურნალის გამოცემის პირობები:

ჟურნალი ჯერჯერობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, ანა ნაკლებ 16 გვერდისა. თითო ნომრის ფასი საბჭოს მიერ განსაზღვრულია—15 მან. ამ ფასით ჟურნალის გამოწერა შეიძლება სამი თვით.



ჟურნალის რედაქცია იმყოფება საბჭოს ბინაზე—თბილისი, ბარათისკის ქუჩა, № 5.







კახეთის რეგიონული  
სადაგური



Кახетинское Кооперативное Вино-

-СОЮЗЪ СОЮЗОВ

Виноградарей Кახети

თ ბ ი ლ ი ს ი . რუსთაველის ქუჩა № 33  
კახეთი, სადაგური „მუკუზანი“, კახეთის რეგიონის ცხა.

„კავშირთ-კავშირი“ დაარსებულია 1918 წელს. წესდება დამტკიცებულია  
თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 1919 წლის თებერვლის 8.  
„კავშირთ-კავშირი“ შედის ველისციხის, ვურჯაანის და კარდანახის  
შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობანი 4400 წევრით, რომელთაც 4200  
დესუტინა ვენახი აქვთ.

„კავშირთ-კავშირის“ გამგეობა მთავარი კონცორა და საწყობი მოთავსე-  
ბულია საკუთარ ბინაზედ კახეთის რეგიონის ვმის სადაგურ მუკუზანთან.





# გაითხვალის სასურადღებოდ!

ქალაქის და მუშა ხელის გამკვირების გამო დღეიდან ქუჩნალი

## „ვაზი და ღვინო“

გდირება 15 მანეთი.

თბილისი, 15 ივნისი, 1920 წ.

დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წელს ივლისის 31-ს მიღებულ კანონით შემოღებულია სააქციო გადასახადი ღვინოზე. ამ სააქციო გადასახადს აქამდის იხდიდნენ ღვინით ვაჭარი ქ. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გორში, სიღნაღში და თელავში. კანონის მიღებისთანავე განსაზღვრული იყო აგრეთვე სააქციო გადასახადის რაოდენობა — ბოთლ ღვინოზედ ერთი მანეთი ანუ ვედრაზედ 16 მანეთი. ამ ჟამად იმავე დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ ახალ კანონის ძალით ამ სააქციო გადასახადის რაოდენობა განისაზღვრება თვით ღვინის ლიტრებულების 20% ნორმით და, რადგან ფინანსთა სამინისტროს მიერ ღვინის ლიტრებულება მიღებულ იყო შუათანად ვედრაზედ 400 მანეთი, ამის მიხედვით სააქციო გადასახადი დაწესებულია ბოთლზედ ხუთი მანეთი.

მეღვინე-მევენახეთა საბჭოს შუამდგომლობით ეს სააქციო გადასახადი უნდა შექცირდეს ბოთლზედ სამს მანეთამდის. ათანადო დადგენილება აქციის შემცირების შესახებ უკვე მიღებულია ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით ეკონომიურ კომისიის მიერ და საბჭო იმედოვნებდა, რომ ეს დადგენილება მოკლე ხანში სი-

სრულეში იქნებოდა მოყვანილი უწინდელს ბიუროკრატიულ მიმართულებას თურმე ღრმა ფესვები დარჩენია ჩვენს რესპუბლიკის კანცელარიებში და ძველად ჩვეულებრივს საქმის წარმოების წესებს არავითარი გაუმჯობესება არ დასტყობია.

საქმის წარმოება იმითი კი არ მთავრდება, რომ მიღებული იყოს ესა თუ ის დადგენილება. ყოველ დადგენილებას სრულიად ეკარგება რაიმე მნიშვნელობა, თუ იგი თავის დროზედ აღსრულებაში არ იქნება მოყვანილი, და სწორედ ამ შედეგს მოელის ღვინის აქციის შემცირების შესახებ ეკონომიურ კომისიის დადგენილება: ოთხი მინისტრის ორ ივნისის დადგენილების აღსრულებას არამც თუ არ უჩანს რაიმე ნიშნები, პირიქით, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ბ-ნ კოზლოვსკის თაოსნობით ფინანსთა სამინისტროში აღძრულია ახალი საკითხი, რომ სააქციო გადასახადის რაიონი განსაზღვრული იყოს არა მარტო ზემო მოხსენებული ქალაქებით, არამედ იგი შემოღებული იყოს საქართველოს ყველა ქალაქებში და აგრეთვე ყველა იმ რაიონის ღვინით სავაჭროებში, სადაც მევენახეობა გავრცელებული არ არის და ღვინით ვაჭრობა კი არსებობს. ამასთანავე, რომ ღვინომ არ აუქციოს გზა სააქციო გადასახადს, ბ-ნ კოზლოვსკის პროექტით, ღვინის აღრიცხვა უნდა უექველად მოხდეს მისი გადატან-გადმოტანის დროს, რისთვისაც ყოველ ღვინის გადატან-გადმოტანისთვის საჭიროა ნებაართვა სათანადო მთავრობის წარმომადგენლისა. პროექტით მევენახე თუმცა არ იხდის სააქციო გადასახადს იმ ღვინოზედ, რომელსაც იგი ადგილობრივ თავის საჭიროებაზედ დახარჯავს, მაგრამ ადვილად წარმოადგენია





საქართველოს მედიკამენტალური ინდუსტრია

რამდენად ძნელ გარემოებას შექმნის მისთვისაც ამ პროექტის განხორციელება. მაგალითად, რომ სოფ. გურჯაანის თქვენ ვენახიდან ანუ ბინიდან გადაიტანოთ ღვინო სხვა სოფელში ან გურჯაანშივე დუქანში ან სხვაგან, მოვალე იქნებით წინასწარ ნებართვა აიღოთ სათანადო მთავრობის წარმომადგენელისაგან.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა წესით აპირებს ბ-ნი კოზლოვსკი ამ საქმის მოწესრიგებას და განხორციელებას, რადგან ჯერ დაწვრილებით არ ვართ გაცნობილი მის პროექტის შინაარსს, მაგრამ მისი პროექტის მოყვანილი უმთავრესი დებულებანიც საკმარისია, რომ მისი შემოღების პრინციპიალურად წინააღმდეგნი ვიყვნეთ.

ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის სიძნელე და ვიზიარებთ ხაზინის შემოსავლის გაძლიერების საჭიროებას, მაგრამ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, და ვერც გზას აუქცევთ მას, რომ დღევანდელ გაჭირებულ მდგომარეობის მიუხედავად, ყველა ის სახელმწიფოებრივი ეკონომიური ანუ ფინანსიური ზომები, რომელნიც შეაფერხებენ თვით სასოფლო მეურნეობის წარმოებას—არამც თუ მიზანს ვერ მიახწევენ—უფრო გაამწვავებენ საქმეს და ამიტომ სასურველი არ არიან. სწორედ ამ ხასიათის არის ბ-ნ კოზლოვსკის პროექტი.

ოფიციალური ცნობებით საქართველოში მზადდება წელიწადში 9 მილიონი ვედრა ღვინო. თუ მივიღებთ, რომ ერთი მესამედი ამ რიცხვისა ადგილობრივ ისმება, ორთა შუა რიცხვით მოსავლის ორი მესამედი მაინც იყიდება მევენახის მიერ. ასე რომ ექვს მილიონ ვედრაზედ, თუ განხორციელდება ბ-ნ კოზლოვსკის პროექტი, სახელმწი-

ფომ უნდა მიიღოს 480 მილიონი მანეთი. მერე რა მდგომარეობის დროს უნდა გადიხადოს ჩვენმა მევენახეობამ ეს აუარებელი ფული?

ყველამ კარგათ ვიცით, რომ საქართველოს ღვინოს სრულიად მოესპო გარეშე ბაზარი. თუ ჩვენს ღვინოს უკანასკნელ წლებში მარტო ბაქო-ბათუმში-ლაჭქონდა ცოტაოდენი გასავალი, ეხლა ეს ბაზარიც თითქმის სრულეობით მოსპობილია და მხოლოდ თვით საქართველოს ტერიტორიაზედ უნდა მოიპოვოს გასავალი მთელმა ღვინის მოსავალმა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ ბოლშევიკების მიერ აზერბეიჯანში სრულეობით აღკრძალულია ღვინით ვაჭრობა, რომ იქ მოჰყავთ ჩვენზედ არა ნაკლები ღვინო, რომ ვენახის მუშაობა იქ ბევრად ნაკლები ხდება ვიდრე ჩვენში, ღვინის მოსავალი კი ერთი ორად და სამად მეტი მოდის დესეტინაზედ, რომ შემოტანილი ღვინოზედ მხოლოდ 40 მანეთს ვახდევინებთ ვედრაზედ საბაჟო გადასახადს,—ადვილად დავინახავთ, რომ აზერბეიჯანის ღვინოს მეტად უადვილდება მეტოქეობა ჩვენს ღვინოსთან ჩვენს სახელმწიფოშივე; და, თუ ამ მეტოქეობას აქამდისინაც მანე შედეგი ჰქონდა სამშობლოს მევენახეობისათვის, აწინდელ პირობებში ხომ იგი მთლად დაამხოვს ჩვენს ღვინით ვაჭრობას, თუ სათანადო ზომები არ იქნება მიღებული.

მეღვინე-მევენახეთა საბჭომ უკვე აღძრა მთავრობის წინაშე შეუამდგომლობა, რომ შემოტანილ ღვინოზედ საბაჟო გადასახადი გაძლიერებულ იყოს იმდენად, რომ აზერბეიჯანის ღვინო არ უწევდეს მეტოქეობას სამშობლო ღვინის წარმოებას სანამ მას მოსპობილი აქვს გარეშე ბაზა-





რი; მაგრამ ეს საკითხი ბიუროკრატიული წესით ჩაიმარხა მრავალ ქაღალდების საქმეებში და, ვინ იცის, ბ-ნ კოზლოვსკის თაოსნობით ეკონომიურ კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებას ამ საკითხის წინასწარ გამოკვლევის შესახებ როდის ეღიბება ხელახლა განხილვა. ჩვენ ვფიქრობთ რომ არასოდეს, რადგან იგი ეწინააღმდეგება ბ-ნ კოზლოვსკის ფინანსიურ მოსაზრებას და შეგნებას.

დრო და ვითარება-კი თავისას ითხოვს, ცხოვრების მიმდინარეობა არ იღებს მხედველობაში მოხელეების მოუმზადლობას ან და მოუცლელობას და ჩვენ მოწმენი ვართ შემდეგი საყურადღებო მოვლენისა. მაგალითად, კახეთში, მიუხედავად შარშანდელ შესანიშნავ მცირე ღვინის მოსავლისა, დიდი ნაწილი ღვინისა ჯერაც არ არის გაყიდული და საიდგან უნდა გაუძღვეს მევენახე მიმდინარე მრავალს ხარჯს, ძნელი წარმოსადგენია. ვინც დაკვირვებული არ არის ადვილად შევა შეცდომაში და ადგილობრივ ღვინის ფასების აწევას მიაწერს ღვინის მოთხოვნილების გაძლიერებას.

შარშან შემოდგომაზე საბანე ღვინო ღირდა 15 ათასი მანეთი, ეხლა იგი 30 ათასად ფასობს.

მაგრამ ასეთი ფასის გადიდება სრულებით არ მიეწერება ღვინის მოთხოვნილების აწევას; იგი არის მხოლოდ შედეგი თვით ფულის ღირებულების დაცემისა და საზოგადოთ ყველა ღირებულების რამდენჯერმე გაძვირებისა. თუ მუშა შემოდგომაზედ კახეთში ღირდა 100 მანეთი, ეხლა ფასობს დღეში 300-400 და მეტს მანეთს; აგრეთვე შემოდგომიდან პურმა რამდენჯერმე აიწია ფასში და ამ რიგად ღვინოზედ ადგილობრივი ფასის აწევა


სრულებით არ აუმჯობესებს მევენახეებს ვე მდგომარეობას. პირიქით დღით დღე მევენახის გაჭირვება ღრმავდება და ვრცელდება, ფილოქსერა ძლიერდება, მოსავალი წლითი წლობით იკლებს, სეტყვა ანადგურებს ვაზს და, თუ ღვინის ფასი აბსოლუტიურად ზევით იწევს, შედარებით მევენახის წმინდა შემოსავალი წლითი წლობით მცირდება, და სწორედ ამ გარემოების ხანაში ჩვენს მევენახეობას მოელის ახალი ძლიერი სენი—ბ-ნ კოზლოვსკის საქციზო გადასახადის პროექტი. ჯერ ის წარმოიდგინეთ, რა დაუჯდება მევენახეს მარტო ღვინის გადატან-გადმოტანის ნებართვის აღება. ყველა სოფელში ხომ არ იქნება დანიშნული მოხელე ამ ნებართვის გასაცემად?! წარმოიდგინეთ რამდენი სამუშაო დრო უნდა დაკარგოს მევენახემ (უქმეში მოხელე ხომ არ იმუშავებს) რომ საჭირო მოწმობა მიიღოს? ზოგჯერ მოხელეს არ ეცლება, ზოგჯერ რამე ნაკლი აღმოუჩნდება მთხოვნელს მოხელის მოსაზრებით და მევენახემ უნდა არა ერთხელ იაროს სოფლიდან სოფელს მოწმობის მისილებად. და განა ეს ხარჯი ღვინის შემოსავალს არ დააწევება? და თუ მოწმობის მიღება სირაჯის მოვალეობად გადიცევა, განა იგი არ ისარგებლებს ამ საგნით, რომ ერთი ორად და სამად ამოიღოს ეს ხარჯი ღვინის ადგილობრივი ფასების შემცირებით? ამხედ ორი ახრი არ უნდა გვქონდეს, რომ ეს ასეა როგორც მოვიხსენიეთ. კოზლოვსკის პროექტის განხორციელებამ ხაზინას 480 მილიონი მანეთი უნდა მოუტანოს. ეს ხარჯი, რომ მთელს საქართველოს მცხოვრებზედ გავანაწილოთ, სულ ცოტა სულზედ 160 მანეთს შეადგენს. არსებითათ-კი, რადგან უმაღრესი ღვინის მსმელი იგივე მუშა ხა-





ლხია, ადვილად წარმოსადგენია, რომ უმათერესად მათ დააწვება ამგვარად აქციზის გადახდა და, ექვს გარეშეა, რომ ამდროულ მუშის გაქვირებულ მდგომარეობაში ეს საშინელი გარდასახადი უფრო გაამწვავებს მათ მდგომარეობას. ფიქრობთ, რომ უდროუდროა ბ-ნ. კხოლოვსკის პროექტი.

ი. ანდრონიკაშვილი.



ვაჭის სის გახსნა \*).

ამ მოკლე ხანში საშუალება მოგვეცა დაგვეთვალიერებინა სიღნაღის მაზრის ზოგიერთი სოფლების ვენახები. მიუხედავად იმისა, რომ მუშა ხელი მეტათ ძვირი და ძნელი საშოვარია, რადგან ხალხი სათიბში და სამკალშია გაფანტული და გარდა ამისა უკანასკნელი ლაშქრობის გამო ბევრი ახალგაზდობა ჯარშია გაწვეული, მაინც ვენახების მოვლა პატრონობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

სოკოს ავადმყოფობანი ნაკლებ შესახვედრი არიან. ზოგან შაბიამით ოთხჯერ იყო ნაწამლი ვაზები, ნაცარი კი აქა იქ იყო შესამჩნევი. სხმოიარება თეთრი ჯიშებისა კარგია, საფერავისა კი ალაგ-ალაგ ფუქსავატობდა. ყურძნის ჭიას საბენდურათ არ მიუღია ის მძვინვარე მსვლელობა, როგორც გაზაფხულის ნიშნებით მოსალოდნელი იყო; აიხსნება ეს წვიმიანი ავდრებით ზაფხულის დამდევს, რაც არა ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ჭიის გამრავლებისთვის. მაინც და მაინც ეს მავნე ზოგიერთ ვენახებში შესამჩნევია,

\*) კახეთის ზოგიერთ სოფლებში ვაზების წვერების წაჭრას „ცის გახსნას“ უწოდებენ.

უფრო კი კარდანახის რაიონში და, მიუხედავად იმისა, რომ ენტომოლოგები (მწერთა მეცნიერები) უწევენ ხელმძღვანელობას მავნესთან საბრძოლველათ, ცოტა არ იყოს მევენახენი პასიურათ აწარმოებენ ბრძოლას, რამაც შესაძლოა მომავლისთვის არა სასიამოვნო შედეგები მოუტანს ჩვენ მევენახეობას, თუ მშრალი გაზაფხული და ზაფხული დადვა. საჭიროა ანგარიში სავსებით გაეწიოს ამ მავნეს. ყველა მევენახემ თავის მოვალეობათ უნდა დაისახოს ამ მავნეს მოსპობა, რომ მოსაყალი უზრუნველი იყოს მშრალ თუ წვიმიან წელიწადს.

ვენახების დათვალიერების დროს ერთ გარემოებას მივაქციეთ ყურადღება და საჭიროთ ვსთვლით მის აღნიშნას — კოხტათ და ლამაზათ შეფურჩქენილი ვაზები ცოტა არ იყოს მევენახის ძალდატანების დამღას ატარებენ. საქმე იმაშია, რომ ძალიან ბევრი ვაზი უწყალოთაა შეფურჩქენილი. მაგ. ვაზის ყლორტი ზედ მტევნის სახსარზეა გადამტვრეული და ამ გვარათ მტევნის ზევით არც ერთი ფოთოლი არ მოიპოვება.

თუ ჩვენ ვწამლობთ ვაზს შაბიამით, მთავარი მიზანია ფოთლის შენარჩუნება, რადგან მარტო ფოთლის საშუალებით ვაზს შეუძლიან დაიმუშავოს ის საზრდო, რომელსაც იხვეჭამენ ფესვები; რამდენადაც ვაზს ცოტა ფოთოლი ექმნება, იმდენად ნაკლებ საზრდო მასალას დაიმუშავებენ და ამიტომ გაფურჩქენის დროს ყველა ფოთოლს უნდა ანგარიში გაეწიოს და არცერთი მათგანი უმიზეზოთ არ მოეშოროს ვაზს. ცნობილია, რომ ფესვების საშუალებით მოხვეჭილი საზრდო ადის ფოთლებში, და იქ ჰაერის შემადგენლობასთან ერთად დამუშავების შემდეგ უბრუნდება უკან მცენარის სხეულს. აი სწორეთ ამ მოსაზრებით





ქართული  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
ინსტიტუტი

დაუშვებელია, რომ მტევანის სახსარზედ გადაიმტერას ყლორტი. საჭიროა სულ ცოტა ორი ფოთოლი მაინც მტევნის შემოთ, რომ ამ უკანასკნელთ მიიზიდონ თავისკენ ფესვების მოხვეჭილი საზრდო და დაიმუშაონ იგი, რის შემდეგაც საზრდო უკანვე გაბრუნდება და, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა უახლოვეს მტევნის ზრდა განვითარებას შეეღვევა. მტევანის სახსარზედ გადატეხილი ვაზის ყლორტიკი მოკლებული ხდება ამ საზრდოს და რასაკვირველია ამ გვარი მტევნის ზრდა, განვითარება და მოწევა უფრო შეფერხდება. მოყვანილ მოსაზრებათა გამო, ფურჩქენის დროს მტევნიან ყლორტის გადატეხა არამც და არამც მტევნის სახსარზედ არ შეიძლება. ვიმეორებთ: ორი ფოთოლი მაინც უნდა იყოს შერჩენილი მტევნის ზევით.

გარდა ამ ნაკლისა, ბევრ ალაგას წვერებ წაჭრილ ვაზებს შევხვდით. ეს მუშაობა მეტათ ნაადრევათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ვაზს ზიანის მეტს არას მოუტანს.

წვერების წაჭრა ანუ ცის გახსნა არამთუ მისაღები, არამედ საჭიროცაა, მხოლოდ ჩვენ პირობებში არა უადრევს მარიამობისთვის ნახევრისა. მოხსენებულ დროზედ ადრე ცის გახსნა მიუღებელია იმ მოსაზრებით, რომ ა) ადრე ცა გახსნილი ვაზი მრავალ ნამხრევს და ქირქას ამოუშვებს, რაც ასუსტებს ვაზს, რადგან არამთუ ესენი ფესვების მოხვეჭილ საზრდოს ვერ დაიმუშავენ, არამედ თავის ზრდა-დამთავრებისათვის მოითხოვენ დამუშავებულ საზრდოს, ბ.) მეტათ ტიტვლდება ვენახი, რის გამოც მკათათვის ცხარე მზემ შესაძლებელია არუჯოს მტევანი და, გარდა ამისა, მიწაც მეტათ ამოშრება, გ)

რქა მეტათ სქელებდა და შეიძლება იბრიყვოს მომავალ წლისთვის.


სულ სხვა შედეგს მივალწევთ მარიამობისთვის შუა რიცხვებში ცის გახსნით —სამდროვოთ ვაზი ხალისიანათ აღარ იზრდება და ამიტომ წვერებში ქირქის გამოსვლა იმდენად ძლიერი აღარ იქმნება, სიცხე მოტეხილია და ამიტომ არც ყურძნის არუჯვის და არც მიწის მეტათ გამოშრობის შიში უნდა გვექონდეს; პირიქით, სამდროვო სიცხე ხელს შეუწყობს ყურძნის უკეთ და დროზედ მოწევას, რქის თვითეული კვირტიც უკეთ დასრულდება და ხომ ამ კვირტებზედ არის დამოკიდებული მომავალი წლის მოსავლიანობაც და თვით ვაზის კეთილდღეობაც.

**ს. ჩოლაყაშვილი.**

**ღვინის წარმოშობა.**

**ღვინის მწიფება.** ტკბილიდან დუღილის შემწვობით წარმოშობილ ძალატიან თხიადს ეწოდება **ახალი ღვინო**. რადგანაც ვერც მისი გარეგნული შეხედულობა და ვერც გემო ან სურნელება ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ჩვენ ჩვეულებრივ ღვინოს ვუდგენთ, ამისათვის ის ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება სასიამოვნო სასმელად. უმთავრესად მისი სიმღვრივე ეცემა ადამიანს ფეხლში. ამ სიმღვრივის მიზეზი არის მცია, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუსწვრია დალექა. მთავარ დუღილის დროს, რომელიც ჩქარა თავდება ხოლმე, მართალია მეტი წილი შაქრისა იშლება, მაგრამ მცირე ნაწილი ამ შაქრისა დაუშლელი რჩება. მთავარ დუღილის შემდეგ დაუშლელ შაქრის რაოდენობა დაახლოევებით 1/2 ასიდანს (პროცენტს) შეადგენს ხომლევ, თუმცა ხანდახან





ქართული

1—2 %-საც აღწევს და ამ დარჩენილ შაქრის დაშლა ხშირად ძალიან დიდხანს გრძელდება ხოლმე. მთავარ დუღილის დროს პირველში მციათა მოქმედება ძალიან მძლავრად სწარმოებს. მაგრამ, რადგან ამის გამო უცბად ბევრი ძალარი (ალკოჰოლი) ჩნდება, და ეს კი ვნებს მციის ზდას და მოქმედებას, დუღილი უფროოდ ნელდება და ხშირად ჩერდება კიდევ, თუ თბიდანმა (ტემპერატურა) 25<sup>0</sup>-ს მიაღწია. მხოლოდ როდესაც თბიდანდი (ტემპერატურა) კვლავ დაიწევს და მციაც ამასობაში მიეჩვევა ძალარიან (ალკოჰოლიან) არეში ცხოვრებას, იგი ხელახლად განაგრძობს თავის მოქმედებას და შლის დარჩენილ შაქრის უკანასკნელ ნაშთს—სწარმოებს ჩუმი დუღილი. შაქრის დაშლის დროს, ჩვენ ვიცით, ნახშქანგი ჩნდება ხოლმე და აი სწორედ ეს ნახშქანგია, რომელიც ბუშტებად ღვინის ჭურჭლის ძირიდან ზედა პირზე ამოდის და თავის მოძრაობით ამოდრავებს ახალ ღვინოს და იტაცებს დაბლა დაღეკილ მციებს ისევ მაღლა. მხოლოდ როდესაც შაქრის უკანასკნელი ნაშთიც სავსებით დაიშლება და ახალი ნახშქანგი აღარსაიდან გაჩნდება, მაშინ მციასაც ველარაფერი ამოიტაცებს მაღლა და ერთხელ დაღეკილი იგი სამუდამოდ ძირში დარჩება, თუ რასაკვირველია ძალით ჭრავინ აამღვრია ეს ღეკი ღვინოში.

(დუღილის გათავების პირველ ხანში ნახშქანგი ბლომად არის გახსნილი და ღვინის გათბობის დროს (პირში, სმის დროს) ეს ნახშქანგი, უცბად რომ სცილდება ღვინოს და თავისუფლდება, შეუმხავს პირს და გემოს შეუხამებელს ჰხდის.

არც სურნელება აქვს ახალ ღვინოს მაართალია მაინც და მაინც უსიამოვნო,

მაგრამ ის ძალიან განირჩევა (ამდგომარეობა და გამოყვანილ ღვინის სურნელებისაგან.) ჩუმ დუღილის სწრაფად დამთავრებას ძალიან ხელს უწყობს პირველი გადალება, რომელიც მთავარ დუღილის დასრულების შემდეგ მოხდება ხოლმე. ამ გადალების დროს ახალ ღვინოს ნახშქანგი სცილდება, რომელიც წინა წერილებში ნათქვამის მიხედვით რაოდენადმდე შეხამისავით მოქმედებს მციაზე და ასუსტებს მის მოქმედებას, და მის ნაცვლად ერევა ჰაერის ჟანგბადი, რომელიც აცხოველებს ამავე მციას და ხელს უწყობს დარჩენილ შაქრის დაშლას. თავისთავად ცხადია, რომ თუ ტკბილში ძალიან ბევრი შაქარია, ჩუმი დუღილი აქედან მიღებულ ღვინოში ძალიან დიდხანს გასტანს. ამისი მიზეზი მხოლოდ ის გარემოება კი არარის, რომ მთავარ დუღილის შემდეგ შედარებით ბევრი დაუშლელი შაქარი დარჩება, არამე ის, რომ ამისთანა ტკბილში ძალიან ბევრი ძალარი (ალკოჰოლი) რჩება და ეს კი შესამჩნევად აბრკოლებს დუღილს. ამიტომ ყოველივე ღონისძიება უნდა იქმნას ხმარებული რომ დაჩქარდეს ამისთანა ღვინის დადგომა. ამისათვის უმთავრესად საჭიროა მთავარი დუღილი ისე იქმნას წაყვანილი, რომ რაც შეიძლება მეტი შაქარი დაიშალოს. ახალი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ მიზნის მისაღწევად მთავარი დუღილი რაც შეიძლება დაბალ თბიდანზე (ტემპერატურაზე) უნდა სწარმოებდეს. ეს გარემოება განსაკუთრებით უნდა გვექონდეს მხედველობაში, რადგან მეტწილად ჩვენში ყურძენს ძალიან მწიფეს, ძალზე დაშაქრბულს ჰკრეფენ და ამასთანავე აზრია გავრცელებული, რომ ტკბილის დუღილი მით უფრო სწრაფად და მაღალ თბიდანზე (ტემპერატურაზე) უნდა სწარმოებდეს, რაც უფრო მეტად ტკბილია ყურძნის წვენიო.





მართალია, ჩვენში ძალიან ხშირად უყვართ მაჭარი და ეტანებიან მის სმას, მაგრამ კარგ ღვინის გემოვნებას მიჰყვებილი მაინც და მაინც ღიდად არ აფასებს მას, და არც ფართე ბაზარზე შეიძლება ამისთანა ღვინის გატანა, რადგან ის ჯერ დაუმთავრებელ ნაწარმს წარმოადგენს, განუწყვეტლივ ცვალებადობას განიცდის და მუდმივად ჩუმს დუღილში იმყოფება.

სხვაფრივად სდგას საკითხი, რასაკვირველია, როდესაც ტკბილში იმზომამდე ბევრი შაქარია—ან ბუნებრივად ან შაქრიჩამატებით—რომ მრავლად გაჩენილ ძალარის (ალკოჰოლის) გამო შეუძლებელი ხდება დედისათვის დარჩენილ შაქრის დაშლა. ამ შემთხვევაში ჩუმ დუღილის სამუდამოდ შეჩერებას და მოსპობას რომ მივალწიოთ, სასურველია ხელოვნურად წაყვანილ დუღილით ან სხვა რამ გზახებით ძალარის (ალკოჰოლის) ოდენობის აყვანა 12 წონა ასიდანამდე (10%-მდე) მაინც. როდესაც ღვინოში ძალარის (ალკოჰოლის) ოდენობა აღნიშნულ რიცხვს აღწევს, გამოცდილებისამებრ ამისთანა ღვინოში დაუშლელი შბქარიც რომ იყოს დარჩენილი ასე სახიფათო ჩუმი დუღილი ადარ ღაიწყება ხოლმე.


ამის გარდა არის ხოლმე ისეთი შემადგენლობის ტკბილი, რომლებშიაც ნაკლებად მოიძებნება მციათა საკვებავი მარილები, განსაკუთრებით ჰაისნაერთები (აზოტის), და თუმცა ამისთანა ტკბილიდან დამღვარ ღვინოში შესაძლოა ნაკლები ძალარი გაჩნდეს, მცია მაინც სამუდამოდ შესწყვეტს მოქმედებას, ვეღარ განაცხრველებს თავის მოქმედებას და ჩუმს დუღილს ვეღარ წარმოშობს. მაგრამ აქვე შეიძლება მეღვინემ თავისი ხელოვნობა გამოიჩინოს და ყურძნიდან ისეთი შემადგენლობის ტკბილი მიიღოს, მათგან მთავარ დუღილის დამთავრების შემდეგ მცირე ძალარის (ალკოჰოლის) ოდენობასაც რომ შეიცავდეს ასეთი ღვინო, სამუდამოდ დაიწმინდება და დაილექს, გაიშორებს დედას. რასაკვირველია ამისთანა ნასწავლს და მცოდნე მეღვინეს ისიც შეუძლია, რომ რამე საშუალებით კვლავ გამოაცოცხლოს ღვინის დედა და სავსებით დააშლევინოს დარჩენილი შაქარი, —ამისთანა საშუალებად ჩაითვლება ჰაერის ჩარევა ღვინოში, მისი ცოტათი შეთბობა, რჩეულ მძლავრ დედის მიმატება და სხვა. ჩუმ დუღილის დასრულების შემდეგ, როდესაც ღვინის დედა სავსებით დაბლა დაილექავს, აუცილებლივ საჭიროა ღვინის ხელახლად გადაღება და დედისაგან გაშორება. მხოლოდ როდესაც ღვინო მთლად განთავისუფლებულია დედისაგან და დაწმენდილია, მაშინ იძენს ის წმინდა გემოს და სურნელებას.

დიდი ყურადღების მიქცევა საჭიროა ღვინის გადაღებაზე. დუღილის დროს დედის ზეგავლენით ღვინოში ზოგიერთი ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება, რომ ამ დედის ნაადრევად მოშორებით ღვინის დადგომა დაუსრულებელი რჩება და ზოგიერთი მისი კარგი ღირსება იკარგება, განუვითარებელი რჩება.

მაგრამ უფრო საშიშია ღვინის გადაღების დაგვიანება. საქმე ის არის, რომ დუღილის გათავების შემდეგ, ღვინის დედა სწყვეტს თავის მოქმედებას და კვდება. ამ ღვინის დედის, მცირე კანი, და მთლად შინაარსიც, ნელნელა იშლება და იხსნება ღვინოში, რომლიდანაც მისი გაშორება ვეღარაფერ საშუალებით ვეღარ ხერხდება. ხშირად ამ მციათა ცილანივით-

დგენლობის ტკბილი მიიღოს, მათგან მთავარ დუღილის დამთავრების შემდეგ მცირე ძალარის (ალკოჰოლის) ოდენობასაც რომ შეიცავდეს ასეთი ღვინო, სამუდამოდ დაიწმინდება და დაილექს, გაიშორებს დედას. რასაკვირველია ამისთანა ნასწავლს და მცოდნე მეღვინეს ისიც შეუძლია, რომ რამე საშუალებით კვლავ გამოაცოცხლოს ღვინის დედა და სავსებით დააშლევინოს დარჩენილი შაქარი, —ამისთანა საშუალებად ჩაითვლება ჰაერის ჩარევა ღვინოში, მისი ცოტათი შეთბობა, რჩეულ მძლავრ დედის მიმატება და სხვა. ჩუმ დუღილის დასრულების შემდეგ, როდესაც ღვინის დედა სავსებით დაბლა დაილექავს, აუცილებლივ საჭიროა ღვინის ხელახლად გადაღება და დედისაგან გაშორება. მხოლოდ როდესაც ღვინო მთლად განთავისუფლებულია დედისაგან და დაწმენდილია, მაშინ იძენს ის წმინდა გემოს და სურნელებას.





ბნიც დაიწყებენ ხოლმე დაშლას და მაშინ ღვინოში ჩნდება უსიამოვნო გემოს და სუნის ნივთიბნი, რაც ამ ღვინოს, რასაკვირველია, ძალიან აზღვენენ.

მაშასადამე, ღვინის გადაღებას უმთავრესად ის დანიშნულება აქვს, რომ ერთხელ დაღეჭილი ნივთიერებანი მას სრულიად გააშოროს, თორემ, თუ ისინი ისევ ღვინოში დარჩებიან, დაიშლებიან, კვლავ ღვინოს შეუერთდებიან და მას სავესებიო წაახდენენ.

გადასაღებად განსაკუთრებულ დროის დანიშვნა კალენდრის რიცხვების ან ტკბილის დაწურვადან დღეების დათვლის მიხედვით შეუძლებელია: ზოგან თბილა, ზოგან ცივა, ზოგ ტკბილას შემადგენლობა ერთია, ზოგის მეორე და სხვა... ერთი კი უნდა ვიცოდეთ: დაიღექს და დაიწმინდება თუ არა ღვინო, ის ლექს უნდა გაშორდეს. მაგრამ რადგან ძალიან ხშირი გადაღებაც სასარგებლო არ არის, ამიტომ ღვინის გადაღება უნდა მოხდეს ხომე იმ დროს, როდესაც მოსალოდნელია ღვინის წამოდგრევა. ამისთანა დროთ უნდა ჩაითვალოს გაზაფხულის პირი. ამ დროს ჰაერი თბება, თვით ქვევრშიც დაიწყებს ღვინის თბიდანდი (ტემპერატურა) აწევას და, რადგან გათბობას ნალექის აშლა მოსდევს, ამიტომ მეღვინემ უნდა უსწროს ღვინს დედის აშლას და გადაიღოს ღვინო, მოაშოროს ნალექს. ნათქვამის მიხედვით ღვინოს ამღვრევს გაჩენილ ნახშქანგის ბუშტების მოძრობა. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ნახშქანგი მხოლოდ შაქრის დაშლის დროს არა ჩნდება. შესაფერ პირობებში ღვინოში ზოგიერთი ჯანგი (სიმყავე) იცვლება ხოლმე, იშლება და აქედანაცა ჩნდება ეს ნახშქანგი, რომელიც ღვინის ამღვრევის მიზეზად ჰხდება. ესეც რომ არ იყოს,

მაინც შეიძლება ღვინის ამღვრევა, თუმას ნალექი ჰქონდა გაზაფხულამდე გაჩენილი. საქვე ის არის, რომ ნახშქანგი ღვინოში ყოველთვის არის გახსნილი და ის ცივს ღვინოში უფრო მეტად იხსნება, ვიდრე თბილში. ამიტომ გაზაფხულზე ღვინის გათბობის დროს ეს ნახშქანგი გამოცლას იწყებს, ამოძრავებს ღვინოს და რევს ნალექს.

(გაგძელება იქნება)

მ. შალამბერიძე


### კახეთის მევენახეობის და მეღვინეობის მდგომარეობა.

(მოხსენება წაკითხული მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესზე).

(გაგრძელება)

ვენახების სივრცის შემცირების გარდა ეს ხუთი წელიწადია ხელის დაკლების, უწამლობის, სეტყვის და საზოგადოთ ატმოსფერულ გავლენის მიზეზით მცირე მოსავალიჭოდის. წარსულ 1918 წელს სამ მილიონ ვედრამდე ღვინო გამოიტანა კახეთმა ბაზარზე დაახლოვებით 350—400 მილიონად ღირებული. წელს კი მხოლოდ ამის მესამედის გამოტანა თუ იქმნება შესაძლებელი, რაც ეხლანდელი შეფასებით დაიჭერდა 312 მილიონ მანეთს. სამაგიეროდ რომ გავითვალისწინოთ მხოლოდ ზოგიერთი თვალსაჩინო ხარჯები, რომელიც გადასახდელი აქვს მევენახეს მაგ. 100000 ფუთი შაბიამანი და გოგირდი რაც 50 მილიონს დაიჭერს, ჰიგო (თუ 25 ათას დესეტინა ვენახიდან 5 მართულზედ არის და 20 ათასიდან კი ნახევარს ანუ 10 ათას სჭირია დესეტინაზედ 6000 ლერი) 60 მილიონი ლერი უკანასკნელ 90 მილიონად ღირებული, დავინახავთ თუ რა მდგომარეობაშია დღეს კახეთის მევენახეობა. მარტო აქ ნახსენები ხარჯი მთელი მოსავლის თითქმის 40 პროც. ნთქავს. ამას ზედ დაურთეთ ის გარემოება, რომ მევენახეთა უმრავლესობას პური სასყიდელი აქვს და ყოვე-





ლივე ხარჯების გასასტუმრებლადაც ერთადერთი ვენახის მოსავლის იმედი აქვს. ხშირად ვვესმის სრულიად უსაბუთო მსჯელობა: სოფელი ფულთი არის სავსეო, და თითქოს სოფელი მცხოვრები ბედნიერება-ფუფუნებაში იყოს. იქნება ეს რაოდენადმდე მართალი იყოს მხენელ-მოესველთა შესახებ, ხოლო რაც შეეხება განსაკუთრებით მევენახეების მიმდევართ — ზემო მოყვანილი მსჯელობა სრულიად უსამართლო და შეუსაბამოა: მევენახეთა 80 პროც. უსახსრო, ნახევრად მშვირი, ჩაუცმელი და მოუწყობელია, რადგან მიუხედავად ღვინის დიდი ფასისა — მას პური და ყოველივე სანოვავე სასყიდელი აქვს, რაც ღვინოსთან შედარებით კიდევ ერთი ორად და ერთი სამადაა გაძვირებული. ამას გარდა, როგორც ზევით დავინახეთ — მცირე ვენახის პატრონთა (რომელთაც ერთ დესეტინაზე ნაკლები აქვთ) რიცხვი უდრის 81 პროც., და თუ მევენახეთა შორის მდიდრდება ვინმე ეს მხოლოდ იმ 19 პროცენტადან, რომელთაც მოსავალი მეტი მოჰყავთ, რადგან ვენახი შედარებით დიდი აქვსთ და ყოველივე საჭიროების დაკმაყოფილების გარდა კიდევ რჩებათ მოგება. საზოგადოდ კი ჩვენი მევენახეობა უკანასკნელ 4—5 წელიწადში თუ უკან არა, წინ სრულიად ვერ მიიწევს. აღსანიშნავია, რომ მევენახეობის ხელსაწყო იარაღ-მანქანებით მელღინეობის მეურნეობისთვის საჭირო იარაღით და ყოველივე საწამლებელ მასალებით ჩვენ ვიკვებებით საზღვარ გარეთიდან, რაც უკვე შეეკვეს წელიწადია ჩვენთვის სრულიად დახშულია. ვენახის სახნავი გუთნები, შაბიამანის სასხურებლები, საბერვლები და ყოველივე სხვა იარაღი მთლად მოძველდა, ახალი აღარსაიდან შემოდის. ასეთსავე მდგომარეობაშია ყურძნის საწურავ საქაჩავის და ღვინის გადასაღებ მანქანათა მდგომარეობა არამც თუ უცხო ბაზრის დაკეტვა შეიქმნა ჩვენთვის საგოძნობი — თვით რუსეთის ქარხნებში, რომ მზადდებოდა ვაზის დასამშელი მავთული. აღარ შემოდის, — მისი ფასი 600 მან. აღწევს ფუთი (3 მან ღირდა) და არც იმოგება. მისი საჭიროება კი ისე საგოძნობი როგორც დღესაა არასდროს არ ყოფილა. კახეთის ვენახების საერთო სივრციდან 10—15 პროც. თუ

იქნება მავთულზედ გაბმული, ხოლო ნარჩენი 20 ათასამდე დესეტინა ჭიგვის ანბარას არის. აჩანაგებს ყოველწლიურად 50—60 მილიონ ხეს და საშოვრობაც აღარსად არის. დიდი დამაბრკოლებელი მიზეზია კახეთის მევენახეობის შესწავლისთვის რაიმე სწორი სტატისტიკური ცნობების უქონლობა. ამაზედ მეტად კიდევ სამწუხაროა, რომ ისეთ დარგში, რომელიც 300—400 მილ. მანეთს აძლევს მცხოვრებლებს წელიწადში, საქმაო კადრი სპეციალისტებისაც კი არ მომიძებნება! სკოლაზედ ლაპარაკი ხომ სულ მეტია.

ასე მიმიმე მდგომარეობას განიცდის დღეს კახეთის მევენახეობა და საჭიროა ფართე ღონისძიებათა მიღება სახელმწიფო მაშტაბით რომ უმთავრესმა დარგმა ჩვენი სასოფლო მეურნეობისამ — მევენახეობამ დაახწიოს თავი იმ კრიზისს, რომელსაც იგი განიცდის და დააღვეს საღ წარმატების და გამარჯვების გზას.

მოხსენების შენაარსი შეიძლება ჩამოგვიყალიბებინა შემდეგ დებულებებად.

1. საქართველო სასოფლო — სამეურნეო ნაწარმოებთა ქვეყანაა და მის მრავალ მაღალკულტურულ სამეურნეო დარგთა შორის — მევენახეობა უქლიერესი ეკონომიური ფაქტორია.
2. საქართველო მრავალ ფეროვან ბუნების ყოველივე მხარე მევენახეობისთვის გამოსადეგი, მხოლოდ მათ შორის კახეთი, თვისი საუკეთესო ღირსების ღვინის მეოხებით წარმოადგენს გვირგვინს საქართველოს მევენახეობისას.
3. კახეთის მშრომელთა ერთადერთი საარსებთ წყარო არის მევენახეობა-მელღინეობა და იგი ჰკვებავს კახეთში 35 ათას მეკომურს ანუ 200,000 სულს.
4. სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ მევენახეობა, როგორც მაღალ კულტურის სამეურნეო დარგი, ჩვენში წარმოადგენდეს საუკეთესო ნიმუშს ქართველთ შორის მოყვარეობისას, უცხო კულტურულ ღონისძიებათა ეკონომიურ-კულტურულ კეთილდღეობის წყაროს.
5. კახეთის მევენახეობა ერთის მხრით ვაზის მტერ-ბუნების მოვლენათა და მწერთა მეოხებით, და მეორეს მხრივ შექმნილ საერთაშორისო კრიზისის წყალობით, დღეს განიცდის მიმიმე კრიზისს, რამაც გამოიწვია ჩვენი მევენახეობის იზოლიაცია.



საქართველოს  
საქართველოს

6. მევენახეობა-მელვინეობის პრიმიტიულ კულტურის დატოვებას და მის მაგიერ გაუმჯობესებულ წესებით და საშუალებებით მევენახეობის განვითარება აღორძინებას ხელს უშლის ჩვენში ამ დარგის მკოდნე პირთა სიმცირე საერთოდ და კერძოდ სამეურნეო დარგში გაუნათლებლობა და სახელმწიფოს მიერ საქმისადმი გულგრილობა.

თუ ზემოხსენებულ დებულებებს ჩვენ მივიღებთ, იძულებულნი ვიქნებით ვალიართ, რომ დაუყონებლივ საჭიროა:

1. შეიქმნას მიწადმოქმედების სამინისტროსთან სპეციალურ სახელმწიფო დაწესებულებათა ფუნქციებით აღჭურვილი ორგანო რუსეთის მევენახეობა-მელვინეობის მთავარი კომიტეტის მაგვარად უფრო ფართე უფლებით, რომელსაც დაკისრებული ექნება მევენახეობა მელვინეობაზედ ზრუნვა-მფარველობა.

2. მიექცეს მეტი ყურადღება სპეციალურ ცოდნათა გავრცელებას ხალხში დაბალ და საშუალო სპეციალურ სკოლების დაარსებით, ხალხში ზვიპირ-სიტყვიერი ბაასით, სამაგალითო და სანიმუშო სადგურთა მოწყობით თუ მოძრავი ლექციებით.

3. დაარსდეს სპეციალური სტატისტიკური განყოფილება მელვინეობა-მევენახეობის მთავარ დეწესებულებაში ამ დარგის ზედმწევნით გამოკვლევა-შესასწავლად ჩვენში.

4. აღმოუჩინოს სახელმწიფომ მევენახეთ ფართო დანხარება ვენახების აღდგენის, სეტყვასთან და სხვა მოვლენებთან ბრძოლის, იარაღ-მანქანათა შეძენის და ნაწარმოების გასაღების უზრუნველყოფის მხრივ.

**გ. წინამძღვრიშვილი.**

**წერილავი აღვილავიდან.**

ს. კანდოლი (თელავის მაზრა). ამ რიცხვიდან ვენახების მდგომარეობა ასეთია. ვაზის ტოტების ზრდა საერთოთ მხიარული იყო, თუმცა საერთოთ ყვავილი ძლიერ ნაკლებათ გამოიტანა, ნამეტნავათ რქაწითელმა. საფერავს, მწვანეს და ბუდეშურს არა უშავს რა, მაგრამ 10-ს თი-

ბათვიდან ძლიერ გავრცელემულმა დიუმ საერთოთ ყველგან მოსპო ყურძენი ყვავილშივე, ნამეტნავათ ნაკლებ ნაწამლს ვენახებში. რივიანათ ნაწამლი ვენახები გადარჩა. მათი რიცხვი არ არის ბევრი. გადარჩენილი ყურძენიც ისე გათხელდა მარცვლის დაცივნით, თუმცა ორჯერაც იყო გორგიდით ნაწამლი, რომ თითქმის მტევანი განახევრდა. საერთო მიმოხილვის თვალსაზრისით, ამ წელს ღვინის მოსავალი ძალიან ნაკლები უნდა იყოს სეტყვისაგან გადარჩენილს რაიონებშიაც-კი. ნაცარი წელს საერთოთ ნაკლებია; ეს კიდე კარგი შემთხვევა არის ბუნებრივი, თორემ ამისთანა გოგირდის იმედი ძნელია. სხვა ავადმყოფობებიც ბევრია, მაგრამ ნაკლებ ყურადღებისანი.

წამლობა შაბიამნით და გოგირდით საერთოთ ჩვენს რაიონში დიდი ხანია არსებობს, მაგრამ რადგან შეგნება ნაკლებია, ეკონომიის თვალსაზრისით ხალხი გაურბის.

მუშის დიდი ნაკლებობაა ომის გამო. ამის მიზეზი კიდე ის არის, რომ ვენახების შეკეთებას დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ბოლო დრდს—მუშის ფასი 300—600 შ. ავიდა, ქალები 100—150 შ.

ვენახის მუშაობის კრიზისს ზედ მოჰყა სიმინდის ოოხნა, ზედ მოზდევს ქერების და ყანების მომკაც, რაც ძლიერ აფერხებს ვენახებში მუშაობის დათავებას.

ამ დღეებში დაიწყეს მესამეთ და მეოთხეთ შაბით წამლობა, გოგირდით, ვაზის თავის წაჭრა, მოხვნა, თიბვა, და სხვა...

მკათათვის ნახევრამდინ მევენახეების გასაჭირი და გულის გასახეთქი დროა, შემდეგ ამისა ცოტა შეისვენებს როგორც ჯანით ისე სულითაც; თუ ნამეტნავათ





საკმარისი ყურძენიც ღვინვა თავის საყვარელს ვაზებზედ, თავისუფლათ ამოისუნქავს ვენახის წმინდა ჰაერზედ, და შეევედრება განგებას, გადაარჩინოს ერთს კიდე უდიდესს უბედურებას—სეტყვას.

წამლების ფასი უდიდესია—1000—1200 მ. ფუთი. აპარატების უშოვნელობა და სიძვირე—5—6000 მ. კოდი პური ღირს 3000 მ. ჩაფი ღვინო (საპანელობით ხომ აღარ იხსენება) 500—1000 მ. სიმინდი 1800—2000 მ., და ოთხი ფეხი ცხენის ნალის დაკრა—400 მ. რა ქნას ამისთანა შემთხვევაში მუშამ? ის რაღა უნდა ღირდეს, როდესაც სახნავათ ცხენს აფასებენ ღღეში 1000 მანეთს.

წელს შესამჩნევათ გავრცელდა ერთნაირი, მგონი არა ახალი, ავთომყოფობა ყურძნის მარცვალზედ „უხვარო“. ეს უხვსავეთ კანს ეფარება და მარცვალს ზრდის ნებას არ აძლევს. აგრეთვე ბევრგვარი სხვადასვა ავთომყოფობანია, მაგრამ ნაკლებ გავრცელებული.

**ა. ლიონიძე.**

**ახალგორის რაიონი** (ღუშეთის მაზრა) ჩვენი სამოქმედო რაიონი, ესე იგი ახალგორისა, ძალიან არის დაქვეითებული მევენახეობის მხრივ. ჯერ ისეთაც ამ რაიონში ნაკლებათ არის გაშენებული ვაზი და თუ ყოფილა ისიც ძველი მამაპაპის დროისა, ახალი კი არაფერი გაშენებულა. ამ ძველ ვაზსაც გაჩენილი აქვს სხვადასხვა ავადმყოფობა, უფრო მეტი წილი კი ფილოქსერა, რომელიც სამუდამოთ სპობს ადგილობრივ მევენახეობას. მდგომარეობა წლევეანდელი ასეთია: ზამთარი იყო დიდი, თოვლიანი, რის გამოც ხალხმა ნაკლებათ დაიმუშავა ვენახები; გაზაფხულიც დაუდგა ნოტიო, წვიმებიანი, რამაც თითქმის ნახე-

ვარ იენისამდეს გასტანა, შემდგომშიც და მშრალი დღეები, გაჩნდა ვენახებში ობი და უწამლავ ვენახების მოსავალი მთლათ მოსპო. საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ამ დაქვეითებულ რაიონს, რათა ცოტაოდნათ მაინც ფეხზედ დადგეს მეურნეობის მხრივ.

სამაზრო საერობო მამულის გამგე  
**ა. ქვლივიშვილი.**

**წინანდალი** (თელავის მაზრა). ვენახებს ნოტიო წლის გამო, მიუხედავად ორჯერ და სამჯერ წამლობისა მილდიუ მოედო, ყურძენი სცივია.

სხვა ავადმყოფობა ვაზისა ჯერ ჯერობით არ არის. ფილოქსერა ძლიან მოედო ვენახებს და აზიანებს. წინათ მარტო ჩვენი სოფლის ბოლო ვენახებში იყო, წელს კი თვითონ სოფლის ვენახებსაც მოედო და ძლიანაც გააფუჭა.

გოგირდი და შაბი საკმაოდ იშოვნება ბაზარზე, მაგრამ ბევრს მევენახეს უძნელდება შეტენა სიძვირის გამო—ფუთი გოგირდი ღირს 950 მან.—1200 მანეთი. და ყვითელი კარგი გოგირდი კი მეტიც. შაბი. 850 მან.—კოოპერატივში.

**ხშირია ძალიან შემთხვევა** რომ ფუთს გოგირდში აძლევენ 3 ფუთს პურის ხორბალს.

ღვინოსაც ასე აძლევენ—ფუთს გოგირდში 3 ჩაფს ღვინოს ახალ მოსავალისას, თორემ ძველი მოსავლისასაც, ვისაც ძალიან უჭირს გოგირდი.

მუშა ფასობს თვის აპარატით და მევენახის ხარჯით 350 მან. მევენახის აპარატით 200 მან. აპარატის ქირა 100 მ.—150 მანეთამდეა.

ძვირია ძალიან აპარატის ნაწილები. რეზინი ძირითა აპარატისა ფასოფს არა





ნაკლებ 350 მან. და იყიდება კიდევ ამ ფასებში ეხლა წამლობა რომ მისუსტდა, იყიდება 350 მან. თორემ წინათ 450 მანეთზედ მეტიც ღირდა.

ღედაკაცი ამხვევები ფასობს 80 მან. — 100 მან. თავის ხარჯით.

ღვინო ფასობს 28000 - 30000 მანათამდე.

სეტყვა იყო ამ ერთი თვის წინათ და, რადგანაც ქარი არ ჰქონდა, ბევრათ არაფრით დაზარალა.

**ღიმ. აზაური-კოზმანიშვილი.**

**გურჯაანის რაიონი (კახეთი).**

გურჯაანის მევენახეობა და მეღვინეობის რაზონში შედის რვა თემი (საქობო, ვაქირი, ანაგა, კარდენახი, ბაკურ ციხე, გურჯაანი, ახალშენი და ველის ციხის თემები), სმდაც არის დანიშრული ერთი ინსტრუქტორი სპეციალისტი სამაზრო ერობისაგან და ერთიც კ. აბაშიძე ახლა იქმნა დანიშნული მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოსაგან.

რაიონი როგორც მოგეხსენებათ დიდია და ინსტრუქტორი ვერ სწვდება მთელს რაიონს, მითუმეტეს. რომ მოკლებულია ერობისაგან სხვა და სხვა საშვალეებს, მაგ. ექვსი თვის განმავლობაში ცხენიც კი ვერ უშოვეს ინსტრუქტორს. მუშაობა კი დიდია. ამას წინეთ გადავიარე სოფ. ჩუმლაყის ამერიკულ ვაზის სანერგეში, სადაც ერთმა მუშამ გვითხრა ვაზი სულ გადახმალ.

მე და ჩუმლაყის სანერგის გამგე მაშინვე გავემგზავრეთ ვენახისკენ ს. ჩუმლაყში. მართლაც ვაზი სულ გაყვითლებული იყო. ამოვიღეთ ხუთი ძირი სხვა და სხვა ალაგას და გავშინჯეთ გამადიდებელი მუშით, რის შედეგიც იყო ფილოქსერის აღმოჩენა. ვენახი შეადგენს 1 დესეტინას

და 1/4 გამხმარია. შემდეგ ფილოქსერის ვაზინე ს. გურჯაანში ნასყიდა გოგოლაშვილის ვენახში, რომელმაც გამომცა, რომ შარშან გამიხმა 3/4 დესეტინისა და პური დავთესეო. იმავე სოფელში აღმოჩნდა ფილოქსერა ვანო ელიზბარაშვილის და ვია კუბრიშვილის ვენახებში. 5 მკათათვეს ჩემთან მოვიდა შაქრო ელიზბარაშვილი და მთხოვა წავეყოლოდი ვენახის გასაშინჯათ. ვენახში აშკარათ ეტყობოდა ფილოქსერის ნიშნები.

ამოვიღე სამი ძირი ვაზი სხვა და სხვა ადგილას და აქაც აღმოჩნდა ფილოქსერა, რომელიც ვაჩვენე დამსწრეთ გამადიდებელი მუშით, ერთი სიტყვით ფილოქსერა მოდებულა მთელ რაიონში და, თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული განადგურება მოელის მთელ კახეთი მევენახეობას ერთათ ერთი სანერგე არის მთელ რაიონში ჩუმლაყისა, სადაც სხვა და სხვა მიზეზების გამო მარტო ორმოცი ათასი ნამყენი გაკეთდა წელს. მოთხოვნილება კი დიდია ნამყენისა, რადგანაც ყველა მცხოვრები მიხვდა, რომ ერთათ ერთი წამალი არის ამერიკულს ვაზზედ ჩვენი ვაზის დამყნობა.

ყურძნის მავნებელ ჭიასთან ბრძოლა სწარმოებს კარგათ. კარდენახში იმყოფება სპეციალისტი ვინოკუროვი ღეგურჯაანში ერობის ინსტრუქტორი. მხოლოდ ამ ერთი კვირის წინეთ იქნა მომზადებული და გაგზავნილი ხუთი სტუდენტი დანარჩენი თემებში, ე. ი. თითო თემს ჰყავს თითო ინსტრუქტორი ყურძნის მავნებელ ჭიასთან საბრძოლველათ. ყურძნის მოსავალს ჯერ ჯერობით ძალიანი კარგი პირი უჩანს და ჭიაც იმნაირათ არ არის წრეულს მოდებული, როგორც მოველოდით.

გურჯაანის რაიონის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტრუქტორი

**გ. ნაკყებია.**



# ცნობები

საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს მოუვიდა მთავრობის ეკონომიურ კომისიის 2 ივნისის სხდომის ოქმიდან ამონაწერი, სადაც სხვათა შორის სწერია: შესაძლებლათ იქმნას ცნობილი ღვინოზე აქციზის დაკლება, — დაწესებულ იქმნას სააქციო გადასახადი ბოთლზე ნაკვლათ ხუთი მანეთისა სამი მანეთი.

ხოლო გასატან ღვინოზედაც დარჩეს ეს აქციზი.

რაც შეეხება შემოსატან ღვინოზე ბაჟის გაღივებას, ეს საკითხი შესწავლილ იქმნას და შემდეგ მოხსენდეს ეკონომიურ კომისიას.

10 ივნისს მეღვინე მევენახეთა ყრილობათა საბჭოს მიერ განწესებული იქმნა კარდანახისა და გურჯაანის რაიონებში ყურძნის ჭიასთან ბრძოლის მოსაწყობათ ა. ი. აბაშიძე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე აღძრულ შუამდგომლობაზე, რათა დაძმარებული ღვინო განთავისუფლებელი იყოს სააქციზო გადასახადისაგან, მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭომ შემდეგი პასუხი მიიღო: 1) ძმარი, როგორც წინადაც იხე ეხლაც, განთავისუფლებულია სააქციზო გადასახადისაგან და 2) იმ შემთხვევაში, როდესაც ღვინო საწყობებში და სარდაფებში გაფუჭდება და ძმრად იქცევა, მაშინ სავაჭროს პატრონებმა უნდა გამოუტყდონ ამის შესახებ ადგილობრივ აქციზის ინსპექტორს, რომელიც შეამოწმებს განცხადებას, აღნიშნავს დაძმარებულ ღვინის რაოდენობას, რაზედაც შეადგენს სათანადო ოქმს,

და წარმოადგენს სააქციზო სამმართველოში იმ დაძმარებულ ღვინოზე აქციზის მოხსნის შესახებ განკარგულების მოსახდენად.

როგორც ჩვენ ჟურნალის მე 7 ნომრის ქრონიკის მეორე მუხლში მოთავსებული იყო ცნობა, საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის ეკონომიურ კომისიის წინაშე საზღვარ გარეთ სპეციალისტთა კომისიის გაგზავნის შესახებ. მთავრობის ეკონომიურ კომისიას 25 მაისის სხდომაზე ამის შესახებ დაუდგენია: 1. სასურველათ იქმნას ცნობილი სპეციალისტთა შემდგარ კომისიის გაგზავნა ევროპაში სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებათა შესასწავლათ. 2. კანდიდატების დასახელება-არჩევა უნდა შეთანხმებით მოხდეს მიწათ მოქმედების სამინისტროს და მეღვინე მევენახეთა ყრილობათა საბჭოს შორის. 3. მისაღებათ იქმნას ცნობილი ამ კომისიის ნახევარი ხარჯი იკისროს მთავრობამ.

გარდაცვალებულ ვ. ი. რციხიძის ოჯახისათვის დახმარების აღმოძრენ კომისიის მიერ აღძრულ შუამდგომლობის თანახმად განათლების სამინისტრომ განსვენებულის ოჯახს აღმოუჩინა ერთდროულად დახმარება ათი ათასი მანეთით.

---

## გზ-ნ კორესპონდენტებს!

რადგანაც მეღვინე-მევენახეთა საბჭოსათვის საჭიროა ყოველგვარი ცნობების შეგროვება ყველა რაიონებიდან მოსავლის, ამინდის და ვაზის სხვა და სხვა ავადმყოფობათა და მევენახეთა სხვა და სხვა საჭიროებათა შესახებ, ამიტომ ჩვენი „ორკვირეულის“ (ვაზი და ღვინო) რედაქცია უმორჩილესადა გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები აღნიშნულ საკითხების შესახებ ორ კვირაში ერთხელ მაინც.



კოოპერატიული საზოგადოება

# „კახეთი“

საზოგადოება „კახეთი“ აწესდის 1895 წლიდან და ამ კამდ 246 მეწახე ითვლება წევრად. საზოგადოება „კახეთი“-ს წევრობა შეუძლიან ეველა კახელ მეწახეს და აგრეთვე ეველა მას, ვინც-კი ჩააბარებს საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს ეოველ წლივ.

მთავარი კონტორა საზოგადოება „კახეთი“-ს მოთავსებულია თბილისში, დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5, ტელეფონი № 13—23, ხოლო სარდაფი კი გოგოლის ქუჩაზე № 63, საკუთარ შენობაში. ჟელეგრაფით მისამართი: თბილისი კახეთი.

საზოგადოება „კახეთი“-ს მთავარისაწუობები კახეთში ორ ალაგას არის მოწუობილი: თელავში: „კახეთი“-ს ბიურო ალექსანდრე ძეგაძვილთან და კარდანახში „კახეთი“-ს ბიურო ნიკოლოზ დარაძვილთან.



